## ხელშეკრულება№77

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ზუგდიდი 18 აგვისტო 2011 წ.

ერთის მხრივ, შპს „ANAKLIA GANMUKNURI RESORTS"მდებარე: საქართველო, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №45, საიდენტიფიკაციო ნომერი 419983432, ქალაქის ინდექსი 2100, საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „ლიბერთი ბანკის" სამეგრელოს რეგიონული ფილიალი, ბანკის კოდი – LBRTGE22, ანგარიშის №GE68LB0113110374533000, (შემდგომში – „დამკვეთი") წარმოდგენილი დირექტორის ბადრი მესხის სახით სახით და მეორეს მხრივ,შ.პ.ს. „ლუმა"(იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონის გვაზაურის კორპუსი №4, ბინა 37,საიდენტიფიკაციო კოდი: 400001369, ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგარიშის ნომერი: GE06TB0652736050100001), (შემდგომში – „შემსრულებელი") წარმოდგენილი დირექტორის თამარ თედორაძეს სახით,ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

### 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სცენის მოწყობა, სცენის განათება, დეკორაციებისა და მათი თანმდევი სამუშაოების შესრულება (დანართი №1-ში) წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების შესაბამისად სცენის მოსაწყობად განკუთვნილ 22,04მ³ (წიწვიანი ჯიშის) დახერხილი ფიცრების მიწოდებას, „შემსრულებლის" მიერ მითითებული ზომების შესაბამისად უზრუნველყოფს „დამკვეთი", აღნიშნული ფიცრები „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდგომ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით უბრუნდება „დამკვეთს".

### 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

2.2ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს (98099.99)
**(ოთხმოცდათვრამეტიათასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი);**

2.3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 3. კონფიდენციალობა

3.1 მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას,

მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს;
3.2. მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
4.2.იმ შემთხვევაში თუ, შესრულებული მომსახურებია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, „დამკვეთი“ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს „დამკვეთს“ უფლება აქვს არ მიიღოს მომსახურება და მოსთხოვოს „შემსრულებელს“ ხარვეზის აღმოფხვრა თავისივე ხარჯით;
4.3.იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 4.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, „შემსრულებელი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
4.4.„შემსრულებელმა“„დამკვეთს“ უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;
4.5.„დამკვეთის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შპს „ANAKLIA-GANMUKNURI RESORTS“.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ ხორციელდება ლარში.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების 4.4. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;
5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება „შემსრულებლის“ საბანკო რეკვიზიტებზე.

## 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია:
6.1.1. მიაწოდოს „დამკვეთს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;
6.1.2. „დამკვეთს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა;
6.1.3. უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა (მისი არსებობის შემთხვევაში);
6.1.4. კეთილსინდისიერა და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
6.1.5.დროულად განიხილოს „დამკვეთის“ მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
6.2. „დამკვეთი“ ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს „შემსრულებლის დროული და სრული დაფინანსება;
6.2.2. დროულად განიხილოს „შემსრულებლის" მხრიდან წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

## 7. მხარეთა უფლება

7.1. „შემსრულებელს" უფლება აქვს:
7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;
7.2. „დამკვეთს" უფლება აქვს:
7.2.1. თავისი ვალდებულების შესასრულებლად თავისივე ხარჯით საქმეში ჩართოს როგორც თავისი წარმომადგენლები, ასევე მესამე პირები;
7.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეწყვეტა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა" და/ან „შემსრულებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ისეთი ალტერნატიულ ხერხებით, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

9.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „დამკვეთი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „შემსრულებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „დამკვეთმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
10.2. თუ „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. იმ შემთხვევაში, თუ „შემსრულებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი ხარისხის და ოდენობის მომსახურების მიწოდება, „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;
12.3.„დამკვეთის“ მხრიდან 5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთს“ „შემსრულებლის“ სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

13.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

13.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

13.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

13.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 26 აგვისტომდე.

## 15.განსაკუთრებული პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს თავისი უფლებები და მოვალეობები,მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3.ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

15.4.ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „დამკვეთთან“.

„დამკვეთი“

ბადრი მესხი

შ.პ.ს.„ANAKLIA- GANMUKHURI RESORTS”-ის

დირექტორი

„ შემსრულებელი“

[illegible] თედორაძე

შპს. „ლუმა“

დირექტორი

ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის სცენის მოწყობა, სცენის განათება დეკორაციებისა და მათი თანმდევი სამუშაოების

ხარჯთაღრიცხვა

| დასახელება | ზომის ერთ | რაოდენობა | ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|
| . სამუშაოს დასახელება | | | | |
| | | | | |
| ამფითეატრის სცენის შეფუთვა (კავროლინით) შავი | მ2 | 225 | 1.35 | 303.75 |
| სცენის მოწყობა ფრანგული ზენდისთვის | მ2 | 99 | 39 | 3861 |
| განათებების მონტაჟი ხიდზე | ცალი | 53 | 35 | 1855 |
| ფერმის მონტაჟი და დემონტაჟი დი-ჯეი კლუბში | ცალი | 1 | 110 | 110 |
| ხალიჩები კარვებისთვის საფარის მოპირკეთება | მ2 | 175 | 1.35 | 236.25 |
| ხის საინფორმაციო ბანერი ( 3*1.8 ) მონტაჟი | ცალი | 1 | 110 | 110 |
| *ტრიბუნების მოწყობა ორივე მხარეს* | *მ2* | 131 | 39 | 5109 |
| ამფითეატრის სცენის მოწყობა | მ2 | 207 | 39 | 8073 |
| ტრიბუნების საფარის მოწყობა | მ2 | 525 | 1.35 | 708.75 |
| სცენის შეფუთვა ფრანგული ზენდისთვის | მ2 | 99 | 1.35 | 133.65 |
| *ტრიბუნების შეფუთვა ორივე მხარეს* | *მ2* | 131 | 1.35 | 176.85 |
| | | | | |
| *ჯამი* | | | | 20677.25 |
| | | | | |
| *მასალები* | | | | |
| სცენის დეკორაციები (174 მ2) ლითონის კონსტრუქციებ | მ2 | 174 | 200 | 34800 |
| განათებების საკიდები ამფითეატრში | ცალი | 9 | 100 | 900 |
| ფანერა 1.52*1.52 15მმ | ცალი | 230 | 35 | 8050 |
| დი ჯეის გადახურვა კლუბში ( 2.50*2.50 * 2.50 ) | ცალი | 1 | 1800 | 1800 |
| ეკრანი ლითონის კონსტრუქციით (8.5*3.70*5.20) | ცალი | 1 | 700 | 700 |
| პროექციის სადგამი მაგიდა ლითონის კონსტრუქციით. | ცალი | 1 | 300 | 300 |
| ხის საინფორმაციო ბანერი 3*1.8 | ცალი | 1 | 450 | 450 |
| ხალიჩა | მ2 | 1224 | 9 | 11016 |
| შურუფები 6*70 | ცალი | 17407 | 0.08 | 1392.56 |
| | | | | |
| სულ მასალების ჯამი | | | | 59408.56 |
| | | | | |
| სულ მასალები და მომსახურება | | | | 80085.81 |
| ტრანსპორტირება | 7% | | | 5606.01 |
| | | | | |
| ჯამი | | | | 85691.82 |
| ზედნადები ხარჯები | 6% | | | 5141.51 |
| | | | | |
| ჯამი | | | | 90833.33 |
| | | | | |
| გეგმიური დაგროვება | 8% | | | 7266.67 |
| | | | | |
| სულ ხარჯთაღრიცხვით | | | | 98099.99 |
| | | | | |
| | | | | |